მომიჯნავე შენობების მდგრადობის დასკვნა

შპს " მაგი "- ის საპროექტო მრავალფუნქციური ობიექტი წარმოადგენს, მის კუთვნილ არსებულ შენობებზე მიშენებას, ზომით გეგმაში ა - ბ მალი 5,7 * 30,4 მ და გ - დ მალი 8,8 * 18,6 მ.

მიშენებები: ერთმალიანი, ორსართულიანი, რკინაბეტონის კარკასული შენობებია სართულშუა გადახურვის ფილით და ლითონის მსუბუქი სახურავით.

ა - ბ მალის მომიჯნავე შენობა ერთსართულიანი, ერთმალიანი (პოლიგონალური რკბ - ის ფერმა L = 18 მ) ხოლო გ - დ მალის ორმალიანი (L = 18 მ * 2) რკბ - ის კარკასული საწარმოო შენობაა. შენობების სიმაღლე - 8.0 მ, სვეტები 40*40 სმ ანაკრები რკბ-ის, იგი გვერდებიდან შემოზღუდულია ანაკრები საკედლე პანელებით.

მომიჯნავე შენობები, მიშენების მხარეს დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, სახურავის ბურული და ნაწვიმარი წყლის გადაყვანის სისტემა შესაცვლელია. საკედლე პანელები მიშ-ის ზონაში მოხსნილია.

საპროექტო მიშენებების მუშა დოკუმენტაციის დამუშავებისას უნდა გათვალისწინდეს შემდეგი ღონისძიებები :

- შენობების დაფუძნება (არს. საძ-ის დონეზე) იწარმოოს დამოუკიდებელ საძირკველზე, აღნიშნულის მიბმა დაზუსტდეს საძ-ის ორმოების ამოღების შემდეგ.

- გათვალისწინდეს არსებულ და საპროექტო შენობებს შორის ანტისეისმიური ნაკერი.

- დამატებით გამოკვლეული იქნას არსებული შენობები გაზრდილ სეისმურობის გათვალისწინებით.

დ ღერძის მიმდებარე სადემონტაჟო შენობა, ზომით გეგმაში 9,0 * 38,0 მ ერთმალიანი, ორსართულიანი ქვის (კედლები - სილიკატური აგურის - 400 მმ) ცალკემდგომი შენობაა, აგებულია გასული საუკუნის 70 - ან წლებში. შენობის კედლები დაბზარული, ადგილ-ადგილ კოროზირებული და გამოქარულია.

სართულშუა გადახურვის და დახურვის ღრუტანიანი ფილები " სიმკარები" გამომარილებული და კოროზირებულია.

შენობის დემონტაჟი უნდა შესრულდეს ერთი მხრიდან (ორ სართულზე) ცალკეული ელემენტების (აგურის კედელი - გადახურვის ფილები - რკბ-ის სარტყელი ...) თანმიმდევრობით მოხსნის გზით. აგურის კედელი დაიშალოს ხელით, ხოლო ფილები და მონ. სარტყელი ავტოამწის გამოყენებით.

დემონტაჟის პროცესში უნდა შეიზღუდოს მომუშავეთა გადაადგილება ფილის მალის შუაში და მისი მოხსნა განხორციელდეს ქვემოდან დროებითი საყრდენების მოწყობის შემდეგ. დაუშვებელია აგურის ან სხვა მასალის გადახურვაზე დასაწყობება.

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელების შემდეგ, მომიჯნავე შენობების მდგრადობა იქნება უზრუნველყოფილი.

კონსტრუქტორი : გ. გოგოლაძე

25.02.2017წ.